№2563 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეთ უფლება ქალაქ ამბროლაურის, ქალაქ თელავის, ქალაქ რუსთავის, ქალაქ ახალციხისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებს, საახალწლო კონცერტის სცენის გაფორმებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვა, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**